

შპს სმარტსოფტი

ფინანსური ანგარიშგება

და

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

შპს სმარტსოფტი

სარჩევი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	3-6
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	7
სრული შემოსავლების ანგარიშგება	8
კაპიტალში ცვლილების ანგარიშგება	9
ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება	10
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	11
ბოლო გვერდი	29

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა**შპს სმარტსოფტის წლის მფლობელებს****ანგარიში ფინანსური ანგარიშგების აუდიტის შესახებ*****მოსაზრება***

ჩვენ ჩავატარეთ შპს სმარტსოფტის (შემდგომში კომპანია) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშს 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული ფინანსური შედეგების ანგარიშგებას, საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგებას და ფულადი ნაკადების ანგარიშგებას და ასევე ბუღალტრული აღრიცხვის პოლიტიკის ძირითადი პრინციპებისა და სხვა ახსნა-განმარტებითი შენიშვნების მოკლე მონახაზს.

ჩვენი აზრით, წარდგენილი ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, უტყუარად და სამართლიანად ასახავს ორგანიზაციის ფინანსურ მდგომარეობას 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე, მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (IFRSs) შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტი წარმართეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ISAs) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის ფინანსური ანგარიშგების განყოფილებაში სახელწოდებით - „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“ ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებლები ვართ ორგანიზაციისაგან ბუღალტრთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს „პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსის“ (IESBA კოდექსი) და საქართველოში ჩვენს აუდიტთან დაკავშირებული ეთიკის მოთხოვნების შესაბამისად. გარდა ამისა ჩვენ შევასრულეთ აღნიშნული კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. ჩვენ ვთვლით, რომ ჩვენს მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი პირობითი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

მნიშვნელოვანი გარემოებები

თქვენი ყურადღება გვინდა გავამახვილოთ განმარტებით შენიშვნაზე #7, კომპანიას არ შეუქმნია გაუფასურების რეზერვი, ჩვენ ვერ შევასრულეთ ალტერნატიული სამუშაო და ვერ განვსაზღვრეთ შესაძლო მატერიალური გავლენა ფინანსური ანგარიშგების შედეგებზე, შესაბამისად აღნიშნული გარემოება არ გამხდარა მოსაზრების მოდიფიცირების საფუძველი.

დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

კომპანიის მენეჯმენტი ვალდებულია წარადგინოს მმართველობის ანგარიშგება. მმართველობის ანგარიშგება მოიცავს ინფორმაციას კომპანიის საქმიანობის შესახებ, რისკის ანალიზს, სამომავლო გეგმებსა და სხვა ინფორმაციას ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან ერთად, ჩვენი ვალდებულებაა ზემოთხსენებული მმართველობითი ანგარიშგების მიმოხილვა, რათა განვიხილოთ არის თუ არა მმართველობის ანგარიშგებები მატერიალურად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან ან ჩვენს მიერ აუდიტის ჩატარების პროცესში მოპოვებულ ინფორმაციასთან და წარვადგინოთ შესაბამისი ანგარიში.

გარდა ამისა, ჩვენი ვალდებულებაა ჩატარებული პროცედურების საფუძველზე გამოვთქვათ მოსაზრება მმართველობის ანგარიშგების „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით (კანონი) განსაზღვრული ნაწილების (საქმიანობის მიმოხილვა) ამ კანონთან შესაბამისობაზე და არსებითი უზუსტობების შემთხვევაში მივუთითოთ მათ არსზე, ასევე, განვაცხადოთ მმართველობის ანგარიშგებაში კანონით განსაზღვრული რაიმე ინფორმაციის წარმოუდგენლობის შემთხვევაში. ჩვენს მიერ შესრულებული სამუშაოებისა და ყველა მატერიალური ასპექტის გათვალისწინებით, ვაცხადებთ:

- მმართველობის ანგარიშგებაში მოცემული ინფორმაცია იმ ფინანსური წლისთვის, რომლისთვისაც მზადდება ფინანსური ანგარიშგება, შეესაბამება ფინანსურ ანგარიშგებას.
- ანგარიში მომზადებულია საქართველოს კანონის - „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ შესაბამისად და შეიცავს ამ კანონით მოთხოვნილ ყველა ინფორმაციას.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფასს-ის (IFRSs) შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს ორგანიზაციის განგრძობითი ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებლები არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მივიღოთ გონივრული მტკიცებულება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას.

დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების (ISAs) შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების (ISAs) შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს, ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტის პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტის მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.

- ჩვენ შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტის პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძველად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტის მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტის მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძველად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

სხვა საკითხების განხილვა მენეჯმენტთან არ მომხდარა.

ჩვენ ასევე მივაწოდეთ მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს განცხადება, რომ ვაკმაყოფილებთ შესაბამის ეთიკურ მოთხოვნებს დამოუკიდებლობასთან დაკავშირებით, და მივაწოდეთ ინფორმაცია ყველა კავშირსა და საკითხზე, რაც შესაძლოა ჩაითვალოს ჩვენი დამოუკიდებლობის საკითხისთვის მნიშვნელოვანად.

ჩვენ გვჯერა, რომ ჩვენს მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულება საკმარისი და სათანადოა ჩვენი კვალიფიციური აუდიტორული აზრის დასაბუთებისთვის.

მოცემული აუდიტის, რომლის შედეგადაც შედგენილია წინამდებარე დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა, გარიგების პარტნიორია გოჩა ჭოლოკავა (SARAS-A-374286).

ფი ქეი ეფ ჯორჯია (SARAS-F-798362)

2024 წლის 07 აგვისტო

თბილისი, საქართველო

- ჩვენ შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავეყრდნობით კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტის პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოეთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძველად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტის მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ექვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დაეასკვინით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტის მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძველად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

სხვა საკითხების განხილვა მენეჯმენტთან არ მომხდარა.

ჩვენ ასევე მივაწოდეთ მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს განცხადება, რომ ვაკმაყოფილებთ შესაბამის ეთიკურ მოთხოვნებს დამოუკიდებლობასთან დაკავშირებით, და მივაწოდეთ ინფორმაცია ყველა კავშირსა და საკითხზე, რაც შესაძლოა ჩაითვალოს ჩვენი დამოუკიდებლობის საკითხისთვის მნიშვნელოვნად.

ჩვენ გვჯერა, რომ ჩვენს მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულება საკმარისი და სათანადოა ჩვენი კვალიფიციური აუდიტორული აზრის დასაბუთებისთვის.

მოცემული აუდიტის, რომლის შედეგადაც შედგენილია წინამდებარე დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა, გარიგების პარტნიორია გოზა ჯოლოკავა (SARAS-A-374286).

ფი ქეი ეფ ჯორჯია (SARAS-F-798362)

2024 წლის 07 აგვისტო

თბილისი, საქართველო



ფინანსური ანგარიშგება

შპს სმარტსოფტი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	შენიშვნა	31.12.2023	31.12.2022
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	5	8,758,392	8,828,409
არამატერიალური აქტივები	6	307,967	206,406
სულ გრძელვადიანი აქტივები		9,066,359	9,034,815
მოკლევადიანი აქტივები			
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	7	6,753,100	3,477,090
ნადდი ფული და ფულის ეკვივალენტები	8	2,467,704	1,209,398
წინასწარ გაწეული ხარჯები	7	1,692,857	528,712
სულ მოკლევადიანი აქტივები		10,913,660	5,215,200
სულ აქტივები		19,980,019	14,250,015
კაპიტალი და ვალდებულებები			
კაპიტალი			
გაუნაწილებელი მოგება	12	11,481,886	6,876,402
მფლობელის კაპიტალი	12	6,841,327	6,841,327
სულ კაპიტალი		18,323,213	13,717,729
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი ვალი		-	120,800
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		-	120,800
მოკლევადიანი ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	9	341,173	411,486
გადასახდელი ხელფასი	10	825,242	-
საგადასახადო ვალდებულებები	11	490,392	-
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		1,656,807	411,486
სულ ვალდებულებები		1,656,807	532,286
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		19,980,019	14,250,015

მენეჯმენტის სახელით:

დირექტორი

2024 წლის 07 აგვისტო

თბილისი, საქართველო

შენიშვნები გვერდებზე 10-28 წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს. დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა მოცემულია გვერდებზე 3-5.

შპს სმარტსოფტი
ფინანსური შედეგების ანგარიშგება
2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

ფინანსური შედეგების ანგარიშგება	შენიშვნა	2023	2022
შემოსავალი გაყიდვებიდან	13	43,714,782	15,811,617
გაყიდვების ხარჯები		-	-
საერთო მოგება		43,714,782	15,811,617
გაყიდვისა და განაწილების ხარჯები		(6,783,986)	(1,238,425)
ხელფასების ხარჯი	16	(10,803,133)	(5,649,289)
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	14	(6,059,187)	(2,554,081)
საოპერაციო მოგება		20,068,476	6,369,822
საკურსო სხვაობით მიღებული მოგება / (ზარალი), წმინდა		155,110	(568,591)
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი/ხარჯი, წმინდა		(606,672)	26,736
მოგება დაბეგვრამდე		19,616,914	5,827,967
საშემოსავლო გადასახადი		-	(3,782)
მთლიანი შემოსავალი		19,616,914	5,824,185

მენეჯმენტის სახელით: Guram Gotsadze

დირექტორი

2024 წლის 07 აგვისტო
 თბილისი, საქართველო

DocuSigned by:

 AB22848D38E0494...

შენიშვნები გვერდებზე 10-28 წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს. დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა მოცემულია გვერდებზე 3-5.

შპს სმარტსოფტი

საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

	მფლობელის კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	ჯამი
31 დეკემბერს, 2021წ	-	2,295,840	2,295,840
პერიოდის შედეგი	-	5,824,185	5,824,185
მფლობელის კაპიტალის ზრდა	289,524	-	289,524
შერწყმის შედეგი, დაგროვილი ზარალი	-	(53,468)	(53,468)
დივიდენდები	-	(1,190,154)	(1,190,154)
მფლობელის კაპიტალი შერწყმის შედეგად	6,551,803	-	6,551,803
31 დეკემბერს, 2022წ	6,841,327	6,876,403	13,717,730
პერიოდის შედეგი		19,616,914	19,616,914
დივიდენდები		(15,011,430)	(15,011,430)
31 დეკემბერს, 2023წ	6,841,327	11,481,887	18,323,214

მენეჯმენტის სახელით: Guram Gotsadze

დირექტორი

DocuSigned by:

 AB22848D38E0494...

2024 წლის 07 აგვისტო
 თბილისი, საქართველო

შენიშვნები გვერდებზე 10-28 წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს.
 დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა მოცემულია გვერდებზე 3-5.

შპს სმარტსოფტი

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

საოპერაციო საქმიანობა	31.12.2023	31.12.2022
კლიენტებისგან მიღებული ნაღდი ფული	40,531,597	15,553,392
მიმწოდებლებისთვის გადახდილი თანხები	(13,941,649)	2,267,876
გადახდილი ხელფასი	(7,045,365)	(4,516,061)
გადახდა ხაზინაში	(3,008,167)	(1,034,592)
სხვა გადასახდელები	(397,284)	(45,932)
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	16,139,133	12,224,683
საინვესტიციო საქმიანობები		
ქონების და აღჭურვილობის შესყიდვები	(699,373)	(8,876,991)
ქონების და აღჭურვილობის გაყიდვიდან მიღებული შემოსავლები	24,991	5,220
ფულადი სახსრების ნაკადები ინვესტიციებიდან	(674,382)	(8,871,771)
ფინანსური საქმიანობა		
გადახდილი დივიდენდები	(14,257,153)	(1,130,646)
გაცვლითი კურსის გავლენა	50,707	(1,143,960)
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	(14,206,445)	(2,274,606)
ნაღდი ფულის და ფულის ეკვივალენტების წმინდა ზრდა / (შემცირება)	1,258,305	1,078,306
ნაღდი ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	1,209,398	131,092
ნაღდი ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასასრულს	2,467,703	1,209,398

მენეჯმენტის სახელით: Guram Gotsadze

დირექტორი

DocuSigned by:

 AB22848D38E0494...

2024 წლის 07 აგვისტო

თბილისი, საქართველო

შენიშვნები გვერდებზე 10-28 წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს. დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა მოცემულია გვერდებზე 3-5.

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

შპს სმარტსოფტი

1. შესავალი

კორპორატიული ინფორმაცია

შპს სმარტსოფტი დაარსდა 2015 წელს.

შპს სმარტსოფტი დაფუძნებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და რეგისტრირებულია სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში, საიდენტიფიკაციო ნომრით: 406144587. შპს სმარტსოფტი რეგისტრირებულია შემდეგ მისამართზე: საქართველო, თბილისი, ვაკის რაიონი, ელგუჯა ამაშუკელის ქ. N17, საოფისე ფართი N21

07/06/2022 კომპანიამ შეერწყა შპს იუეს კაპიტალ (405429754). ანგარიშგების თარიღის შემდეგ სხვა მნიშვნელოვანი ტრანზაქცია არ გამოვლენილა.

შერწყმა განხორციელდა საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოების.

შპს სმარტსოფტის ძირითადი საქმიანობაა ონლაინ კომერციის ინდუსტრიისთვის პროგრამული უზრუნველყოფის შექმნა. შპს სმარტსოფტი თავისი ბიზნესის ფარგლებში ქმნის ონლაინ აზარტული თამაშების ტიპის პროგრამებს და აწვდის მათ სხვადასხვა ბიზნესოპერატორებს, რომლებიც იყენებენ ამ პროგრამებს თავიანთი ბიზნესის შემოსავლის მისაღებად.

მფლობელები	წილი
ლაშა ზანძელაძე, 60001025383	33%
ალექსანდრე გვინეფაძე, 60001013400	33%
დანიელი რატიანი, 60001013273	33%
გურამ გოცაძე 01031002014	1%

კომპანიის დირექტორი გურამ გოცაძე, (საქართველო, 01031002014)

წარსადგენი ვალუტა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში (“ლარი”), ლარი არის კომპანიის ფუნქციონალური ვალუტა. უცხოურ ვალუტაში ოპერაციები აღირიცხება ტრანზაქციის დღეს არსებული გაცვლითი კურსით. ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების თარიღისთვის ასეთი ოპერაციების

ანგარიშსწორებით და უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების გადათარგმნის შედეგად მიღებული მოგება და ზარალი აღიარებულია მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

უცხოური ვალუტის ფულადი ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული გაცვლითი კურსები:

	31-დეკ-2023	31-დეკ-2022
1 USD/GEL	2.689	2.702
1 EUR/GEL	2.975	2.884

2. მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები

კომპანიის ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (“IASB”) მიერ გამოცემული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (“IFRS” / ფასს) შესაბამისად.

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე, გარდა იმ შემთხვევებისა, რაც აღწერილია სააღრიცხვო პოლიტიკაში და ამ ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში (ლარში) და ყველა ღირებულება დამრგვალებულია ათასამდე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სხვა რამ არის მითითებული.

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია განგრძობითი ფუნქციონირებადობის უნარის დაშვებით, რომელიც გულისხმობს აქტივების რეალიზაციას და ვალდებულებების დაფარვას ბიზნესის ნორმალურ მიმდინარეობაში. კომპანიას აქვს საკმარისი რესურსი, რათა განაგრძოს თავისი საოპერაციო საქმიანობა უახლოეს მომავალში.

ძირითადი საშუალებები აღირიცხება თვითღირებულებით, დაგროვილი ამორტიზაციის და დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლებით, ასეთის არსებობის შემთხვევაში. ღირებულება მოიცავს ხარჯებს, რომლებიც უშუალოდ მიეკუთვნება აქტივების შეძენას. როდესაც ძირითადი ინსპექტირება ხორციელდება, მისი ღირებულება აისახება დანადგარის და აღჭურვილობის საბალანსო ღირებულებაში, როგორც შემცვლელი, თუ აღიარების კრიტერიუმები დაკმაყოფილებულია. ყველა სხვა სარემონტო და ტექნიკური ხარჯები აღიარებულია ფინანსური შედეგების ანგარიშგებაში.

ამორტიზაცია გამოითვლება წრფივი მეთოდით, სავარაუდო სასარგებლო ვადის განმავლობაში შემდეგნაირად:

	სასარგებლო ვადა (წელი)
საოფისე აღჭურვილობა	5 წელი
შენობები და გაუმჯობესებები	25 წელი
კომპიუტერული აღჭურვილობა	5 წელი

ქონების და აღჭურვილობის ელემენტი და ნებისმიერი მნიშვნელოვანი ნაწილი, რომელიც თავდაპირველად იყო აღიარებული, გაუქმებულია გასხვისებისას ან როდესაც არ არის მოსალოდნელი მომავალი ეკონომიკური სარგებელი მისი გამოყენებისა და განკარგვისგან. ნებისმიერი მოგება ან ზარალი, რომელიც წარმოიქმნება აქტივის აღიარებიდან (გამოითვლება სხვაობა გასხვისებიდან წმინდა

შემოსავალსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის) შედის ფინანსური შედეგების ანგარიშგებაში, როდესაც აქტივი ჩამოწერილია.

კრედიტით გაუფასურებული ფინანსური აქტივი

ფასს 9-ის მიხედვით ფინანსური აქტივი არის კრედიტით გაუფასურებული, როდესაც მოხდა ერთი ან მეტი მოვლენა და აქვს მნიშვნელოვანი გავლენა ფინანსური აქტივის მოსალოდნელ მომავალ ფულად ნაკადებზე. იგი მოიცავს დაკვირვებად მონაცემებს, რომლებიც მოექცა ფინანსური აქტივის მფლობელის ყურადღების ქვეშ, შემდეგი მოვლენების შესახებ:

- კრედიტორის ან მსესხებლის მნიშვნელოვანი ფინანსური სირთულე;
- ხელშეკრულების დარღვევა, როგორცაა დეფოლტი ან ვადაგადაცილება;
- კრედიტორებმა ეკონომიკური ან სახელშეკრულებო მიზეზების გამო, რომლებიც დაკავშირებულია მსესხებლის ფინანსურ სირთულეებთან, მიაჩნა მსესხებელს კონცესია, რომელიც სხვაგვარად არ განიხილებოდა;
- სავარაუდო ხდება მსესხებლის გაკოტრების პერსპექტივა ან სხვა ფინანსური რეორგანიზაცია;
- ფინანსური სიძნელეების გამო ფინანსური აქტივის აქტიური ბაზრის გაქრობა; ან
- ფინანსური აქტივის შეძენა ან წარმოშობა ღრმა დისკონტით, რომელიც ასახავს წარმოშობილ საკრედიტო ზარალს;

მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგების შეფასების საფუძველი

ფასს 9-ის მიხედვით მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ნებისმიერი გაზომვა უნდა ასახავდეს მიუკერძოებელ და ალბათობით შეწონილ თანხას, რომელიც განისაზღვრება შესაძლო შედეგების დიაპაზონის შეფასებით და ასევე ფულის დროითი ღირებულების ჩართვით. ასევე, საწარმომ უნდა გაითვალისწინოს გონივრული და დასაბუთებული ინფორმაცია წარსული მოვლენების, მიმდინარე პირობებისა და მომავალი ეკონომიკური პირობების გონივრული და დასაბუთებული პროგნოზების შესახებ მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გაზომვისას.

სტანდარტი განსაზღვრავს მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს, როგორც საკრედიტო დანაკარგების საშუალო შეწონილ კოეფიციენტს, დეფოლტის შესაბამისი რისკებით, როგორც შეწონილ კოეფიციენტებს. მიუხედავად იმისა, რომ სუბიექტს არ სჭირდება ყველა შესაძლო სცენარის გათვალისწინება, მან უნდა განიხილოს საკრედიტო ზარალის წარმოშობის რისკი ან ალბათობა საკრედიტო ზარალის წარმოშობის შესაძლებლობის გათვალისწინებით და საკრედიტო ზარალის არარსებობის შესაძლებლობის გათვალისწინებით, მაშინაც კი, თუ საკრედიტო დანაკარგის ალბათობა დაბალია.

კერძოდ, სიცოცხლის განმავლობაში მოსალოდნელი ზარალისთვის, სუბიექტმა უნდა შეაფასოს ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი ვადის განმავლობაში დაკისრების რისკი. 12-თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგები წარმოადგენს ფულადი სახსრების ნაკლოვანებებს მთელი ვადის განმავლობაში, რაც წარმოიქმნება, თუ დეფოლტი მოხდება ანგარიშგების თარიღიდან 12 თვეში, შეწონილი ამ დეფოლტის დადგომის ალბათობით.

სუბიექტს მოეთხოვება გონივრული და დასაბუთებული ინფორმაციის ინკორპორაცია (ანუ ის, რაც გონივრულად ხელმისაწვდომია ანგარიშგების თარიღისთვის). ინფორმაცია გონივრულად ხელმისაწვდომია, თუ მისი მოპოვება არ გულისხმობს ზედმეტ ხარჯს ან ძალისხმევას (საფინანსო ანგარიშგების მიზნებისთვის ხელმისაწვდომი ინფორმაციის კვალიფიკაცია).

მოდელის გამოყენებისთვის სასესიო ვალდებულებაზე, სუბიექტი განიხილავს სესხის ანაზღაურების რისკს, რომელიც მოხდება სესხის ანაზღაურების პირობებში, ხოლო ფინანსური გარანტიის ხელშეკრულებების მოდელის გამოყენება ერთეული განიხილავს მითითებული მოვალის შეუსრულებლობის რისკს.

ერთეულმა შეიძლება გამოიყენოს პრაქტიკული საშუალებები მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასებისას, თუ ისინი შეესაბამება სტანდარტის პრინციპებს (მაგალითად, სავაჭრო დებიტორებზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი შეიძლება გამოითვალოს რეზერვის მატრიცის გამოყენებით, სადაც მოქმედებს ფიქსირებული რეზერვის განაკვეთი იმის მიხედვით, თუ რამდენი დღეა სავაჭრო დებიტორული დავალიანება).

გამოყენებული სასესიო ვალდებულებების მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი უნდა იყოს დისკონტირებული ეფექტური საპროცენტო განაკვეთის (ან მისი მიახლოების) გამოყენებით, რომელიც გამოყენებული იქნება ვალდებულებიდან გამომდინარე ფინანსური აქტივის აღიარებისას. თუ სესხის ვალდებულების ეფექტური საპროცენტო განაკვეთის დადგენა შეუძლებელია, დისკონტის განაკვეთი უნდა ასახავდეს ფულის დროის ღირებულების მიმდინარე საბაზრო შეფასებას და რისკებს, რომლებიც სპეციფიკურია ფულადი ნაკადებისთვის, მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევაში, და რამდენადაც ასეთი რისკები არ არის გათვალისწინებული დისკონტირების განაკვეთის კორექტირებით. ეს მიდგომა ასევე უნდა იქნას გამოყენებული ფინანსური გარანტიის კონტრაქტების მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის დისკონტირებისთვის.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო მსჯელობები, შეფასებები და დაშვებები

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისთვის მენეჯმენტი მოითხოვს მსჯელობის, შეფასების და დაშვების გაკეთებას, რომლებიც გავლენას ახდენენ ანგარიშგების თარიღისთვის შემოსავლების, ხარჯების, აქტივებისა და ვალდებულებების მოხსენებულ ოდენობებზე. თუმცა, ამ დაშვებებისა და შეფასებების შესახებ გაურკვევლობამ შეიძლება გამოიწვიოს შედეგები, რომლებიც მოითხოვენ აქტივის ან ვალდებულების საბალანსო ღირებულების არსებით კორექტირებას მომავალ პერიოდებში.

შეფასებები და ვარაუდები

ძირითადი დაშვებები მომავალსა და შეფასების გაურკვევლობის სხვა ძირითად წყაროებთან დაკავშირებით ანგარიშგების თარიღისთვის, რომლებსაც აქვთ აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულების მნიშვნელოვანი კორექტირების არსებითი რისკი მომდევნო ფინანსურ წელს, როგორც ეს აღწერილია ქვემოთ. კომპანიამ დააფუძნა თავისი დაშვებები და შეფასებები ცალკეული ფინანსური ანგარიშგების მომზადების დროს არსებულ პარამეტრებზე. თუმცა, არსებული გარემოებები და ვარაუდები მომავალი მოვლენების შესახებ შეიძლება შეიცვალოს ბაზრის ცვლილებების ან კომპანიის კონტროლის მიღმა წარმოქმნილი გარემოებების გამო. ასეთი ცვლილებები აისახება ვარაუდებში, როდესაც ისინი ხდება.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების ამორტიზაცია ხდება მისი სავარაუდო სასარგებლო ვადის განმავლობაში, რაც ეფუძნება აქტივის მოსალოდნელი გამოყენების შეფასებებს და მოსალოდნელ ფიზიკურ ცვეთას, რომლებიც დამოკიდებულია საოპერაციო ფაქტორებზე. ხელმძღვანელობამ არ განიხილა ნარჩენი ღირებულება, რადგან იგი მიჩნეულია არამატერიალურად.

ძირითადი საშუალებების გაუფასურება

კომპანია ყოველი ანგარიშგების თარიღზე აფასებს, არის თუ არა რაიმე მითითება, რომ აქტივი შეიძლება გაუფასურდეს. თუ რაიმე ასეთი მითითება არსებობს, კომპანია აკეთებს აქტივის ანაზღაურებადი ოდენობის შეფასებას. აქტივის ანაზღაურებადი თანხა არის აქტივის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის სამართლიანი ღირებულების გამოკლებით გაყიდვის ხარჯები და მისი გამოყენების ღირებულება და განისაზღვრება ცალკეული აქტივისთვის, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც აქტივი არ წარმოქმნის ფულად ნაკადებს, რომლებიც დიდიწილად დამოუკიდებელია სხვა აქტივებისგან ან აქტივების კომპანიისგან. როდესაც აქტივის საბალანსო ღირებულება აღემატება მის ანაზღაურებად ღირებულებას, აქტივი ითვლება გაუფასურებულად და ჩამოიწერება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე. გამოყენების ღირებულების შეფასებისას, სავარაუდო მომავალი ფულადი ნაკადები დისკონტირებულია მათ ამჟამინდელ ღირებულებამდე, დაბეგვრამდე დისკონტის განაკვეთის გამოყენებით, რომელიც ასახავს ფულის დროითი ღირებულების მიმდინარე საბაზრო შეფასებას და აქტივებისთვის სპეციფიკურ რისკებს.

ძირითადი საშუალებების გაუფასურების დადგენა გულისხმობს შეფასების გამოყენებას, რომელიც მოიცავს შემდეგს, მაგრამ არ შემოიფარგლება ამით, გაუფასურების მიზეზს, დროსა და ოდენობას. გაუფასურება ეფუძნება უამრავ ფაქტორს, როგორიცაა რესტრუქტურისაციის პროცესის ცვლილებები, ინდუსტრიის ზრდის მოლოდინი, დაფინანსების მომავალი ხელმისაწვდომობის ცვლილებები, ტექნოლოგიური მოძვლევა, მომსახურების შეწყვეტა, მიმდინარე ჩანაცვლების ხარჯები და სხვა გარემოებების ცვლილებები, რაც მიუთითებს, რომ გაუფასურება არსებობს. ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის ანაზღაურებადი ოდენობის განსაზღვრა გულისხმობს ხელმძღვანელობის მიერ შეფასებების გამოყენებას. გამოყენებადი ღირებულების დასადგენად გამოყენებული მეთოდები მოიცავს დისკონტირებული ფულადი სახსრების ნაკადებზე დაფუძნებულ მეთოდებს, რომლებიც მოითხოვს კომპანიისგან შეაფასოს მოსალოდნელი სამომავლო ფულადი ნაკადები ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულიდან და ასევე აირჩიოს შესაფერისი დისკონტის განაკვეთი ამ ფულადი ნაკადების ამჟამინდელი ღირებულების გამოსათვლელად. ამ შეფასებებს, მათ შორის გამოყენებულ მეთოდოლოგიებს, შეიძლება ჰქონდეს არსებითი გავლენა სამართლიან ღირებულებაზე და, საბოლოო ჯამში, ნებისმიერი ძირითადი საშუალებების გაუფასურების ოდენობაზე.

არამატერიალური აქტივები

ცალკე შეძენილი არამატერიალური აქტივები საწყის აღიარებისას ფასდება თვითღირებულებით. ბიზნეს გაერთიანებაში შეძენილი არამატერიალური აქტივების ღირებულება არის მათი სამართლიანი ღირებულება შეძენის თარიღისთვის. თავდაპირველი აღიარების შემდეგ, არამატერიალური აქტივები აისახება თვითღირებულებით, ყოველგვარი დაგროვილი ამორტიზაციის და დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლებით. შინაგანად წარმოქმნილი არამატერიალური სახსრები, კაპიტალიზებული განვითარების ხარჯების გამოკლებით, არ არის კაპიტალიზებული და დაკავშირებული ხარჯები, რომელიც აისახება მოგებაში ან ზარალში იმ პერიოდის განმავლობაში, რომელშიც გაწეულია ხარჯი.

არამატერიალური აქტივების სასარგებლო სიცოცხლე შეფასებულია როგორც სასრული.

არამატერიალური აქტივები სასრული ვადით ამორტიზირებულია სასარგებლო ეკონომიკურ ვადის განმავლობაში და ფასდება გაუფასურებაზე, როდესაც არსებობს მითითება, რომ არამატერიალური აქტივი შეიძლება გაუფასურდეს. ამორტიზაციის პერიოდი და ამორტიზაციის მეთოდი შეზღუდული სასარგებლო ვადის მქონე არამატერიალური აქტივისთვის განიხილება ყოველი საანგარიშო პერიოდის ბოლოს მაინც.

მოსალოდნელი სასარგებლო პერიოდის ცვლილებები ან აქტივში ჩადებული მომავალი ეკონომიკური სარგებლის მოხმარების მოსალოდნელი ნიმუში ითვლება, რომ ცვლის ამორტიზაციის პერიოდს ან მეთოდს,

საჭიროებისამებრ, და განიხილება, როგორც ცვლილებები სააღრიცხვო შეფასებებში. სასრული არამატერიალური აქტივების ამორტიზაციის ხარჯი აღიარებულია კონსოლიდირებულ ფინანსური შედეგების ანგარიშგებაში, ხარჯის კატეგორიაში, რომელიც შეესაბამება არამატერიალური აქტივების ფუნქციას.

არამატერიალური აქტივის აღიარებიდან წარმოშობილი მოგება ან ზარალი ფასდება, როგორც სხვაობა გასხვისებიდან წმინდა შემოსავალსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარებულია ფინანსური შედეგების ანგარიშგებაში, როდესაც აქტივი აღიარებულია.

არა-ფინანსური აქტივების გაუფასურება

შპს სმარტსოფტი-ს არა-ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება განიხილება საანგარიშგებო თარიღისთვის, თითოეული ფინანსური ანგარიშგებისთვის, იმის დასადგენად, არის თუ არა რაიმე სახის გაუფასურება. მსგავსი ნიშნების არსებობისას ფასდება აქტივის ანაზღაურებადი თანხა. გაუფასურების დასადგენად, აქტივები, რომელთა ინდივიდუალურად შეფასება შეუძლებელია, ჯგუფდება აქტივების მცირე ჯგუფებად. ეს ჯგუფები („ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეული“, „ნაღდი ფული“), მუდმივი გამოყენების პირობებში, უზრუნველყოფენ ფულადი სახსრების შემოდიწებას, რომლებიც სრულიად დამოუკიდებელია სხვა აქტივების ან აქტივების ჯგუფის მიერ წარმოქმნილი ფულადი ნაკადებისგან.

აქტივის ან „ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის“ ანაზღაურებადი თანხა არის უფრო მაღალი მის ღირებულებასა და საბაზრო ღირებულებას შორის გაყიდვის დანახარჯების გამოკლებით. გამოყენების ღირებულების შეფასებისას, მომავალი ფულადი ნაკადების დისკონტირებული მიმდინარე ღირებულება გადასახადების გადახდის დროს დისკონტირებული განაკვეთის გამოყენებით ასახავს ფულის მიმდინარე საბაზრო ღირებულებას დროთა განმავლობაში და ამ აქტივების თანდაყოლილ რისკებს.

გაუფასურების ზარალი აღიარებულია, როდესაც აქტივის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის საბალანსო ღირებულება აღემატება მის ანაზღაურებად ღირებულებას.

ფინანსური აქტივები

საწყისი ამოცნობა და გაზომვა

ყველა ფინანსური აქტივი თავდაპირველად აღიარებულია რეალური პლუს ღირებულებით, ფინანსური აქტივების შემთხვევაში, რომლებიც არ არის აღრიცხული რეალური ღირებულებით მოგება-ზარალის მეშვეობით, ტრანზაქციის ხარჯები, რომლებიც მიეკუთვნება ფინანსური აქტივის შეძენას.

ფინანსური აქტივების შესყიდვები ან გაყიდვები, რომლებიც საჭიროებენ აქტივების მიწოდებას ბაზარზე რეგულაციებით ან კონვენციით დადგენილ ვადებში (ჩვეულებრივი ვაჭრობა), აღიარებულია ვაჭრობის დღეს, ანუ იმ თარიღზე, როდესაც კომპანია იღებს ვალდებულებას შეიძინოს ან გაყიდოს აქტივი.

კომპანიის ფინანსური აქტივები მოიცავს ბანკის ნაშთებს და ნაღდ ფულს და სავაჭრო და სხვა მოთხოვნებს.

შემდგომი გაზომვა

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

ეს აქტივები არის არაწარმოებული ფინანსური აქტივები ფიქსირებული ან განსაზღვრადი გადახდებით, რომლებიც არ არის კოტირებული აქტიურ ბაზარზე. ისინი ძირითადად წარმოიქმნება კლიენტებისთვის საქონლისა და მომსახურების მიწოდებით (მაგალითად სავაჭრო დებიტორული დავალიანება), მაგრამ

ასევე მოიცავს სხვა სახის სახელშეკრულებო ფულად აქტივებს. ისინი თავდაპირველად აღიარებულია სამართლიანი ღირებულებით, პლუს ტრანზაქციის ხარჯები, რომლებიც პირდაპირ მიეკუთვნება მათ შემენას ან გამოშვებას, და შემდგომში აისახება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით, გაუფასურების რეზერვის გამოკლებით. კომპანიის სესხები და დებიტორული დავალიანებები მოიცავს ფინანსურ მდგომარეობას ანგარიშგებაში დაკავშირებულ მხარეთაგან სავაჭრო და სხვა შესანახად.

ბანკის ნაშთი და ნაღდი ფული

ნაღდი ფული მოიცავს ხელზე არსებულ ნაღდ ფულს, ბანკებში არსებულ ნაღდ ფულს და ფულადი სახსრების ეკვივალენტებს. ფულადი სახსრების ეკვივალენტები არის მოკლევადიანი, მაღალილიკვიდური ინვესტიციები, რომლებიც ადვილად კონვერტირებადია ნაღდი ფულის ცნობილ ოდენობაზე, თავდაპირველი ვადით სამი თვის ან ნაკლები ვადით და რომლებიც ექვემდებარება ღირებულების ცვლილების უმნიშვნელო რისკს. ცალკეული ფულადი ნაკადების ანგარიშგების მიზნებისათვის, ბანკის ნაშთები და ნაღდი ფული შედგება ნაღდი ფულისგან და მოკლევადიანი დეპოზიტებისგან, როგორც ზემოთ არის განსაზღვრული.

ჩამოწერა

ფინანსური აქტივი (ან, საჭიროების შემთხვევაში, ფინანსური აქტივის ნაწილი ან მსგავსი ფინანსური აქტივების ჯგუფის ნაწილი) უპირველეს ყოვლისა ჩამოწერილია (ანუ ამოღებულია ჯგუფის ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგებიდან), როდესაც:

- აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლება ამოიწურა; ან
- კომპანიამ გადასცა თავისი უფლებები აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების შესახებ ან აიღო ვალდებულება არსებითი შეფერხების გარეშე გადაუხადოს მიღებული ფულადი ნაკადები სრულად მესამე მხარეს „გატარების“ შეთანხმებით; და ან (ა) კომპანიამ გადასცა აქტივის არსებითად ყველა რისკი და სარგებელი, ან (ბ) კომპანიამ არც გადასცა და არც შეინარჩუნა აქტივის არსებითად ყველა რისკი და სარგებელი, მაგრამ გადასცა აქტივზე კონტროლი.
- როდესაც კომპანიამ გადასცა თავისი უფლებები აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების შესახებ ან დადო გატარების შეთანხმება, ის აფასებს, შეინარჩუნა თუ არა და რამდენად შეინარჩუნა საკუთრების რისკები და სარგებლობა. როდესაც მას არც გადასცა და არც შეინარჩუნა აქტივის არსებითად ყველა რისკი და სარგებელი, არც გადასცა კონტროლი აქტივზე, კომპანია აგრძელებს გადაცემული აქტივის აღიარებას კომპანიის მუდმივი ჩართულობის ფარგლებში. ამ შემთხვევაში კომპანია ასევე აღიარებს დაკავშირებულ ვალდებულებას. გადაცემული აქტივი და მასთან დაკავშირებული ვალდებულება ფასდება იმ საფუძველზე, რომელიც ასახავს კომპანიას შენარჩუნებულ უფლებებსა და ვალდებულებებს.

ფინანსური აქტივების გაუფასურება

